

2023

სს „კავკასრეესტრი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

2-4

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

5

მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

6

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

7

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. საოპერაციო გარემო	10
4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	18
6. არამატერიალური აქტივები	19
7. სხვა ინვესტიციები	19
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20
9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20
10. საკუთარი კაპიტალი	21
11. გადასახდელი ხელფასის ანარიცხი	21
12. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	22
13. ცვლილება ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვში	22
14. წმინდა ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯი)	22
15. პირობითი ვალდებულებები	23
16. ფინანსური რისკის მართვა	23
17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
18. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	27
19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	29

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს „კავკასიურესტრი“-ს აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „კავკასიურესტრი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან, ასევე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ მოგვეწოდა წინა აუდიტორის შესრულებული სამუშაოს ამსახველი დოკუმენტაცია 19,880 ლარის ღირებულების სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებით და ვერც ალტერნატიული პროცედურებით განვაზღვრეთ საწყისი ნაშთების სისწორე. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით 2023 წლის 31 დეკემბრის თარიღით არსებული 37,863 ლარის ღირებულების სავაჭრო და სხვა მოთხოვნების დადასტურება. ამგვარად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ კომპონენტებთან, რომელიც ასახულია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებში ამავე თარიღებით დასრულებული წლისათვის.

როგორც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 7-ში, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ინვესტიციები ჩვეულებრივ აქციებში, კომპანიამ შეაფასა თვითღირებულების მეთოდით. შენიშვნა 7-ში მოყვანილია მიზეზები რის გამოც აღნიშნულ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება მიჩნეულია, რეალური ღირებულების რეპრეზენტატორად. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა არ არის თავსებადი ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები*-თან, რომელიც მოითხოვს ასეთი ინვესტიციების რეალური ღირებულებით შეფასებას, იმდენად, რამდენადაც რეალური ღირებულების შესაფასებლად ხელმისაწვდომი ახალი ინფორმაცია საკმარისია და არ არსებობს რეალური ღირებულებების შესაძლო მნიშვნელობების ფართო დიაპაზონი. ჩვენთვის შეუძლებელი იყო რეალური ღირებულების შეფასების შედეგად მისაღები კორექტირების ფინანსური ეფექტის რაოდენობრივი განსაზღვრა 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ჩვეულებრივი აქციებსა და წმინდა მოგება ან ზარალზე.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის სექციაში *აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები “ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს” (IESBA) “პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის” (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და საქართველოში ფინანსურ ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს პირობითი მოსაზრების გამოთქმისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც არამოდიფიცირებული დასკვნა გამოსცა ამ მოსაზრებაზე 2023 წლის 20 აპრილს.

ხელმძღვანელობასა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნი, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნი, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, სამეთვალყურეო საბჭოს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:



ვახტანგ ნამორაძე

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2024 წლის 10 აპრილი



სს „კავკასრეესტრი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
 (ლარი)

		შენიშვნა 31 დეკემბერი 2023 31 დეკემბერი 2022	
აქტივები			
ძირითადი საშუალებები		2,738	-
არამატერიალური აქტივები	6	4,436	5,030
სხვა ინვესტიციები	7	217,476	217,235
სულ გრძელვადიანი აქტივები		224,650	222,265
სხვა ინვესტიციები	7	2,486	2,383
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	37,863	19,880
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	196,389	98,805
სულ მიმდინარე აქტივები		236,738	121,068
სულ აქტივები		461,388	343,333
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		14,600	14,600
გაუნაწილებელი მოგება		365,653	258,576
სულ საკუთარი კაპიტალი	10	380,253	273,176
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		548	1,722
გადასახდელი ხელფასის ანარიცხი	11	73,600	64,000
საგადასახადო ვალდებულება		6,987	4,435
მიმდინარე ვალდებულებები		81,135	70,157
სულ ვალდებულებები		81,135	70,157
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		461,388	343,333

9-29 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს „კავკასრეესტრი“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარი)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	12	201,362	122,225
სულ საოპერაციო შემოსავალი		201,362	122,225
სხვა შემოსავალი		-	1,496
დასაქმებულთა გასამრჯელოები		(57,064)	(92,101)
ცვლილება ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვში	13	(15,525)	2,030
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურების ხარჯი		(37,987)	(8,600)
მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე იჯარის ხარჯი		(5,687)	(20,969)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(1,430)	(1,625)
სხვა ხარჯები		(10,477)	(15,451)
სულ წლის საოპერაციო მოგება/(ზარალი)		73,192	(12,995)
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯი)	14	33,885	(12,633)
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		107,077	(25,628)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მოგება/(ზარალი) და სხვა სრული შემოსავალი		107,077	(25,628)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 10 აპრილს.

დირექტორი

მერაბ ვარდიაშვილი

სს „კავკასრეესტრი“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარი)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		14,600	284,204	298,804
წლის ზარალი და სხვა სრული შემოსავალი				
წლის ზარალი		-	(25,628)	(25,628)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის	10	14,600	258,576	273,176
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		14,600	258,576	273,176
წლის მოგება და სხვა სრული შემოსავალი				
წლის მოგება		-	107,077	107,077
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის	10	14,600	365,653	380,253

9-29 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს „კავკასრეესტრი“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარი)

	შენიშვნა	2023	2022
		(რეკლასიფიცირებული)	
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		170,839	125,938
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(104,179)	(139,935)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული/ (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან		66,660	(13,997)
მიღებული დივიდენდები		13,652	10,619
მიღებული პროცენტები		18,477	24,166
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საინვესტიციო საქმიანობიდან		32,129	34,785
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(1,205)	(9,498)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		97,584	11,290
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	98,805	87,515
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	196,389	98,805

9-29 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრი“ (შემდეგში „კომპანია“) დაარსდა 1998 წლის 10 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N74ა. კომპანია (სახელმწიფო რეგისტრაციის N5ა/5-58) საქმიანობას ეწევა 2000 წლის 26 იანვარს გაცემული #70002 ლიცენზიით. აღნიშნული ლიცენზიის საფუძველზე, კომპანია ემიტენტებს სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებებს: უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების რეესტრების ფორმირებას, კონსოლიდაციას, საჯარო და არასაჯარო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების (ემისიის განთავსება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, გირავნობა, ბლოკირება და ა.შ.) დარეგისტრირებას. კომპანია ახდენს ფასიანი ქაღალდების რეესტრების დაცულ წარმოებას, მონაცემთა ბაზების დაარქივებას და შენახვას. ასევე, კლიენტის მოთხოვნით, აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას, კრებაზე დასწრებას და ხმების დათვლას, კანონმდებლობის გათვალისწინებით ფასიან ქაღალდებზე სატენდერო შეთავაზებისა და სავალდებულო მიყიდვის პროცედურებში მონაწილეობას.

2016-2022 წლებში, კომპანიას მართავდა წინა მმართველი ორგანო, 2019 წლის 1 აგვისტოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს 2016 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც უკანონოდ გამოცხადდა და ბათილად იქნა ცნობილი დომინანტი აქციონერების მიმართვის საფუძველზე 2015 წლის 1 ოქტომბერს დარეგისტრირებული მმართველი ორგანოს ცვლილება და აღდგენილ იქნა ცვლილებამდე არსებული მმართველი ორგანო.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ნებადართული და გამოცემული აქციების რაოდენობა არის 15,000 ერთეული და 14,600 ერთეული, შესაბამისად, რომლის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს.

ძირითადი აქციონერები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითად აქციონერებს წარმოადგენენ:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“	57.86%	57.86%
სს „კავკასუს კაპიტალ ჯგუფი“ (ნომ. მფლობელი)	30.82%	30.82%
სს „გალთ ენდ თაგარტი“	5.48%	5.48%
სხვა აქციონერები	5.84%	5.84%
	100%	100%

2. მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება („ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, გარდა რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

რეკლასიფიკაცია

კომპანიამ შეცვალა წინა წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ცალკეული მუხლების კლასიფიკაცია. კომპანია მიიჩნევს, რომ ცვლილებები წარმოადგენს სანდო და უფრო რელევანტურ ინფორმაციას.

შემდეგი რეკლასიფიკაცია განხორციელდა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის:

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	კორექტირებამდე	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხა
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	136,557	(10,619)	125,938
მიღებული პროცენტი	24,166	(24,166)	-
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული / (გამოყენებული) საოპერაციო საქმიანობიდან	20,788	(34,785)	(13,997)
მიღებული დივიდენდები	-	10,619	10,619
მიღებული პროცენტი	-	24,166	24,166
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საინვესტიციო საქმიანობიდან	-	34,785	34,785

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ექვი დაზადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

3. საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. საქართველოს განვითარებად ბაზარს არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, როგორც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში ოპერაციები შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე, მათ შორის რისკს, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები, ხოლო სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული. თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესისწარმოების რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის.

3. საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება განვითარებულ ქვეყნებში. საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ წელიწადში 8,3%-ით გაიზარდა 2023 წლის დეკემბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ 2024 წლის 31 იანვარს გამოცემული სწრაფი შეფასების მიხედვით. ზრდა დაფიქსირდა მშენებლობის, წარმოების, ფინანსურ და სადაზღვევო, ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საქმიანობებში. ამასთან, წინა წელთან შედარებით მოსალოდნელმა რეალურმა მშპ-ის ზრდამ 2023 წელს 7% შეადგინა. „საქსტატის“ მონაცემებით, 2023 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციის დონემ 0,4% შეადგინა.

ომი უკრაინაში

უკრაინაში ომის შედეგად ბევრმა ქვეყანამ კონკრეტულ რუსულ საწარმოებს და ფიზიკურ პირებს დაუწესა და უწესებს ახალ სანქციებს. სანქციები ასევე დაუწესდა ბელარუსსაც. შექმნილ ვითარებას, საქონლის ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების პოტენციურ მერყეობასთან, იმპორტ-ექსპორტის შეზღუდვასთან, ადგილობრივი მასალების და მომსახურებების ხელმისაწვდომობასა და ადგილობრივ რესურსებზე წვდომასთან ერთად პირდაპირი გავლენა ექნება საწარმოებზე, რომლებიც აწარმოებენ ოპერაციებს ან კონტაქტი აქვთ რუსეთთან, ბელარუსთან ან უკრაინასთან. ომს და მის პირდაპირ და არაპირდაპირ შედეგებს შესაძლოა გავლენა ჰქონდეს სხვა საწარმოებზე, რომლებსაც პირდაპირი ინტერესები არ გააჩნიათ ამ ქვეყნებში, მაგალითად, სამომხმარებლო ფასების და უცხოური ვალუტის გაცვლით კურსის მერყეობაზე დაქვემდებარების, ასევე გაჭიანურებული ეკონომიკური ვარდნის შესაძლებლობის შედეგად. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს და ხდება ახალი სანქციების დაწესება, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება ეს კომპანიის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში. კომპანიაზე ომის ეფექტების საუკეთესო მიმდინარე შეფასება ასახულია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიამ პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის. კომპანიის ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს:

- ფასს (IFRS) 17 – სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- სააღრიცხვო შეფასების განმარტება – ბასს (IAS) 8–ის ცვლილება;
- სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა – ბასს (IAS) 1–ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს–ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ;
- ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი – ბასს (IAS) 12–ის ცვლილება;
- საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2–ის სანიმუშო წესები – ბასს (IAS) 12–ის ცვლილება.

ფასს სტანდარტის „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ ცვლილების თანახმად, ბასს (IAS) 1–ის და ფასს პრაქტიკის განცხადება 2–ის ცვლილება, რომელიც ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვარს, კომპანიამ შეცვალა თავის სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შეცვლილი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია მიმართულია იმაზე, თუ როგორ იყენებს კომპანია ფასს სტანდარტების მოთხოვნებს თავის საკუთარ საქმეებთან მიმართებით და ის მოიცავს მრავალ საკითხს, რომლებშიც კომპანია ირჩევს სააღრიცხვო პოლიტიკას ფასს სტანდარტებით დაშვებული ერთი ან მეტი ვარიანტიდან, ერთეულებიდან, რომლებიც მნიშვნელოვან განსჯას ან შეფასებას ექვემდებარება და გამორიცხავს ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ფასს სტანდარტების მოთხოვნებს აორმაგებს ან აჯამებს, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკას არამატერიალური საკითხების შესახებ.

სხვა ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2023 წელს, თუმცა მათ არ ჰქონია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- *ფასს (IFRS) 16-ის ცვლილება: საიჯარო ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან და ამ თარიღის შემდგომ პერიოდებში).*
- *ბასს (IAS) 1-ის ცვლილება: ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან).*
- *მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები – ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან და ამ თარიღის შემდგომ პერიოდებში)*

ამ მომენტისთვის კომპანია აფასებს გადასინჯული სტანდარტების და ცვლილებების გავლენას, მაგრამ არ მოელის, რომ მათ არსებითი გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორც არის სავაჭრო ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით აფასებს ბალანსის ყოველი თარიღისთვის.

კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, და რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება ემპირიული და მინიმალურად – არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული (დაუკორექტირებელი) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზარზე.
- მე-2 დონე – შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- მე-3 დონე – შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად შეფასებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის ხელახლა შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში („FVOCI“) და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით („FVPL“).

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც FVPL ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

სავალო ინვესტიციები ფასდება, როგორც FVOCI ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული, როგორც FVPL ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდას წარმოადგენს.

სავაჭრო მოთხოვნები, ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

საწყისი აღიარებისას წილობრივი ინვესტიციები, რომელიც არ არის სავაჭროდ გამიზნული, კომპანიას შეუძლია შეუქცევადად აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებების ასახვა სხვა სრულ შემოსავალში. ეს არჩევნები ტარდება ინვესტიციის მიხედვით. ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში კლასიფიცირდება ისევე, როგორც აღირიცხება FVOCI ასახვით.

კომპანია არ ფლობს FVPL ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური აქტივები - შემდგომი შეფასება და შემოსულობები ან ზარალები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აღრიცხვები	აღნიშნული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარება მოგებაში ან ზარალში.
წილობრივი ინსტრუმენტები - FVOCI	აღნიშნული ფინანსური აქტივები შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით. მიღებული დივიდენდები აღირიცხება როგორც შემოსავალი მოგება ზარალში, მანამ სანამ დივიდენდი აშკარად წარმოადგენს ინვესტიციის ღირებულების ნაწილის აღდგენას. სხვა წმინდა მოგება და ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში და არასოდეს არ კლასიფიცირდება მოგება ან ზარალში.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა როდესაც აღრიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

– სასესხო ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და

– საბანკო ნაშთები, რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ, ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ, როდესაც:

– არ არის სავარაუდო, რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის ფლობის შემთხვევაში); ან

– ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც წარმოიშობა ნებისმიერი შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელიც წარმოიშობა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალების ალბათობით შეწონილი შეფასება. საკრედიტო ზარალი აღრიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა საწარმოდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანია აფასებს არის თუ არა ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები გაუფასურებული საკრედიტო რისკით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია საკრედიტო რისკით“, როდესაც ფინანსური აქტივის სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია საკრედიტო რისკით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- ემიტენტის არსებითი ფინანსური სირთულებები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- ფინანსურ ქალაქებში ინვესტიციების რესტრუქტურისა იმ პირობებით, რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია ემიტენტის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ფინანსური სირთულებების გამო უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ყველა ფინანსური ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვს.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღრიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის დაქვეითებით.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გაუფასურებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი მზად არის და ხელმისაწვდომია ექსპლუატაციისთვის. ამორტიზებული ღირებულების ამორტიზაცია (რომელიც განისაზღვრება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულებით) დაანგარიშდება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე. ძირითადი საშუალებების რამდენიმე კლასის შესაბამისი არსებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

*სასარგებლო
მომსახურების
ვადა*

სხვა საოფისე აღჭურვილობა

5

პირობითი ვალდებულებები და აქტივები

პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რომელიც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი გაცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს კომპიუტერულ პროგრამებსა და ლიცენზიას. არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თავდაპირველი აღიარებისას თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ხარჯი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის 7-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება ხარჯებში წარმოშობისას.

დაბეგვრა

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალოს 2008–2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. 2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია თითოეული საწარმოს საგადასახადო ვალდებულებებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც მათთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგ არის მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, საწყისი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა სახის გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის და მომსახურების მიღების შემდეგ. თუ არსებობს მინიშნება, რომ გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, გადახდილი ავანსების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი გატარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ანგარიშის ნაშთებს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით (AC).

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი რეალური ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას კომპანია აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი სამუშაო ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ყველა სხვაობა აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი გარიგებების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

შემოსავლის აღიარება

კომპანია საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მომსახურებასი გაწევა, კონკრეტულად კომპანია გამოიმუშავებს სააბონენტო შემოსავლებს, რომელიც მოიცავს ემიტენტების მხრიდან გადასახდელ ყოველთვიურ სააბონენტოებს, ასევე საკომისიო შემოსავლებს, რომელიც მოიცავს ემიტენტების საჯარო და არასაჯარო ფასიანი ქაღალდების რეესტრში ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციების (ემისიის განთავსება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, გირავნობა, ბლოკირება, და ა.შ.) დარეგისტრირებას, მოთხოვნის თანახმად აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. ამონაგების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიანი ღირებულებით. მომსახურების მიწოდება ხდება ცალკეული ხელშეკრულებების ფარგლებში და ემიტენტების მხრიდან გადასახდელი ყოველთვიური სააბონენტოების, ასევე ემიტენტების საჯარო და არასაჯარო ფასიანი ქაღალდების რეესტრში ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციების დარეგისტრირება, წარმოადგენს ერთადერთ შესასრულებელ ვალდებულებას და აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში. ამონაგები ფასდება ხელშეკრულების საფუძველზე შეფასებული გარიგების ფასით კომპანიის მიერ მიწოდებული მომსახურების საფუძველზე. საზღაურის გადახდა ხდება ანგარიშფაქტურის გამოწერის შემდგომ.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაზის სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის შეფასება და აღიარება

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს გათავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების გაცხადებულ ოდენობებზე და ასევე პირობითი ვალდებულებების შესახებ განმარტებებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

(ა) მსჯელობები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში, ხელმძღვანელობამ გააკეთა შემდეგი მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე.

წილობრივი ინვესტიციების შეფასების მეთოდი

წილობრივი ინვესტიციები შედგება კომპანიის მიერ შეძენილი სს „საქწყალპროექტის“ აქციებისგან. ფასს-9 მოთხოვნების შესაბამისად აღნიშნული ინვესტიცია უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით. თუმცა, გარკვეულ გარემოებებში თვითღირებულება შესაძლოა იყოს სამართლიანი ღირებულების მართებული შეფასება. ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ:

- სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად ხელმისაწვდომი ახალი ინფორმაცია საკმარისი არ არის,
- ან არსებობს სამართლიანი ღირებულებების შესაძლო მნიშვნელობების ფართო დიაპაზონი და ამ დიაპაზონში თვითღირებულება წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასებას.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა რომ, ვინაიდან, სს „საქწყალპროექტის“ აქციები არ არის კოტირებული ბაზარზე და ხელმძღვანელობა არ ფლობს საკმარის ინფორმაციას იმისთვის, რომ საიმედოდ დაადგინოს მათი აქციების რეალური ღირებულება, აღნიშნულ კომპანიაში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება მიჩნეულია, როგორც რეალური ღირებულების რეპრეზენტატორი.

(ბ) შეფასებები და დაშვებები

არ არსებობს დაშვებები და შეფასების გარუკვეველობა, რომლებსაც თან ახლავთ მნიშვნელოვანი რისკი, გამოიწვიონ კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს.

6. არამატერიალური ატივები

<i>ისტორიული ღირებულება</i>	კომპიუტერული პროგრამები	სულ
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	21,394	21,394
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	21,394	21,394
შემოსვლები	789	789
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	22,183	22,183
 <i>დაგროვილი ამორტიზაცია</i>		
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	15,054	15,054
დარიცხულია წლის განმავლობაში	1,310	1,310
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,364	16,364
დარიცხულია წლის განმავლობაში	1,383	1,383
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,747	17,747
 <i>წმინდა საბალანსო ღირებულება</i>		
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,030	5,030
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,436	4,436

7. სხვა ინვესტიციები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი ინვესტიციები		
სავალო ფასიანი ქაღალდები - ამორტიზებული ღირებულებით	163,391	163,150
წილობრივი ფასიანი ქაღალდები - სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	54,085	54,085
სულ გრძელვადიანი ინვესტიციები	217,476	217,235
მოკლევადიანი ინვესტიციები		
სავალო ფასიანი ქაღალდები - ამორტიზებული ღირებულებით	2,486	2,383
სულ მოკლევადიანი ინვესტიციები	2,486	2,383
სულ ინვესტიციები	219,962	219,618

კომპანია ფლობს სს „საქწყალპროექტის“ ჩვეულებრივ აქციათა 1.64%-ს, რომელიც კლასიფიცირდება, სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. 2023 და 2022 წლებში, მიღებული დივიდენდის ოდენობა შეადგენს 17,065 ლარს და 10,619 ლარს, შესაბამისად (შენიშვნა 14). ვინაიდან, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საჭირო ახალი ინფორმაცია არ არის კომპანიისთვის ხელმისაწვდომი, ხელმძღვანელობამ გამოიყენა ფასს 9-ის ბ.5.2.3 პუნქტით გათვალისწინებული გამოწვევის უფლება და სამართლიანი ღირებულების მართებულ შეფასებად მიიჩნია თვითღირებულება.

7. სხვა ინვესტიციები (გაგრძელება)

კომპანია ასევე ფლობს სს „M2 უძრავი ქონების“ მიერ გამოშვებულ 61,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციებს, რომელიც კლასიფიცირდება, როგორც ამორტიზირებული ღირებულებით და რომლის დაფარვის ვადაა 2024 წლის 7 ოქტომბერი. სავალო ფასიან ქაღალდებს აქვს საპროცენტო განაკვეთი 8.5% და საპროცენტო შემოსავალი 2023 და 2022 წლებში შეადგენს 13,651 ლარს და 12,514 ლარს, შესაბამისად (შენიშვნა 14). ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ სავალო ინსტრუმენტების გაუფასურების რეზერვი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს შეადგენს 662 ლარს და 1,672 ლარს, შესაბამისად (შენიშვნა 13).

კომპანიის საკრედიტო და საბაზრო რისკებთან და სამართლიანი ღირებულების შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 16 ში.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	69,824	39,108
მთლიანი ფინანსური აქტივები სავაჭრო მოთხოვნებში	69,824	39,108
დარიცხული დივიდენდი (შენიშვნა 14)	3,413	-
გადახდილი ავანსი	4,259	3,870
მინუს: საექვო მოთხოვნების რეზერვი (შენიშვნა 13)	(39,633)	(23,098)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	37,863	19,880

კომპანიის საკრედიტო და საბაზრო რისკებთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 16 ში.

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მოთხოვნამდე დეპოზიტები	160,162	25,540
ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	34,911	70,755
ფული სალაროში	1,316	2,510
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	196,389	98,805

მოთხოვნამდე დეპოზიტები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში, კერძოდ სს "კრედიო ბანკში" და სს „თიბისი ბანკში“. მოთხოვნამდე დეპოზიტები წარმოადგენს უვადო დეპოზიტებს 55,162 ლარის და 25,540 ლარის ღირებულებით 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად. ასევე მოთხოვნამდე ზეპოზიტები წარმოადგენს ვადიან დეპოზიტებს ანგარიშგების დასრულების თარიღიდან სამ თვეზე მეტი დაფარვის ვადით 105,000 ლარის და ნული ლარის ოდენობით 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, რომელზეც კომპანიას აქვს ერთპიროვნული უფლება გამოიტანოს დეპოზიტები შეტყობინების გაგზავნიდან რამდენიმე დღის განმავლობაში რაიმე მნიშვნელოვანი ჯარიმის დაკისრების ან პროცენტის დაკარგვის გარეშე. შესაბამისად, ეს ვადიანი დეპოზიტები კლასიფიცირებულია მათი ბუნების მიხედვით, ანუ ისინი წარმოადგენენ მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (გაგრძელება)

საშუალოდ, ვადიან დეპოზიტზე წლიური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს 11.65% - 12% -მდე 2023 წელს. საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებზე 2023 და 2022 წლებში წარმოადგენს 4,663 ლარს და 193 ლარს, შესაბამისად (შენიშვნა 14).

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარისკო და ექვემდებარება ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკს. კომპანიის საკრედიტო და საბაზრო რისკებთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ შენიშვნა 16 ში.

10. საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი შედგება 15,000 ცალი ნებადართული 1 ლარი ნომინალური ღირებულების მქონე ჩვეულებრივი აქციისგან, საიდანაც განთავსებული ჩვეულებრივი აქციის ოდენობაა 14,600 ცალი აქცია. კომპანიას 2023 და 2022 წლების განმავლობაში ახალი აქცია არ გამოუშვია.

2023 და 2022 წლების განმავლობაში კომპანიას არ გამოუცხადებია და გადაუხდია დივიდენდები.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას კომპანიის მფლობელები ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის მისაღებად. კომპანია რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნას კაპიტალის მინიმალურ ოდენობასთან დაკავშირებით, რაც შეადგენს არანაკლებ 250 000 ლარს. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საკუთარი კაპიტალი შეადგენს 380,254 ლარს და 273,176 ლარს, შესაბამისად.

11. გადასახდელი ხელფასის ანარიცხი

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი ხელფასის ანარიცხი უკავშირდება კომპანიის თანამშრომლისთვის გადასახდელ ხელფასს, რომელზეც 2023 და 2022 წლების განმავლობაში მიმდინარეობდა სასამართლო დავები (შენიშვნა 15 ბ).

ანარიცხი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	54,400
დარიცხვა	9,600
ანარიცხი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	64,000
დარიცხვა	9,600
ანარიცხი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	73,600

მსგავსი შინაარსის დავებზე საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით კომპანიის მოლოდინია, რომ სასამართლო დავა 50%-ით მეტი ალბათობით დასრულდება ყოფილი თანამშრომლის სასარგებლოდ. კომპანიამ 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად დაარიცხა გადასახდელი ხელფასის 64,000 ლარს და 73,600 ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადის გარეშე), შესაბამისად.

12. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2023	2022
სააბონენტო შემოსავალი ემიტენტებისგან *	91,593	76,090
ემიტენტის აქციების გასხივებისგან მიღებული საკომისიო შემოსავალი	57,288	31,479
სხვა საოპერაციო შემოსავალი	52,481	14,656
სულ შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	201,362	122,225

*სააბონენტო შემოსავლები მოიცავს ემიტენტების მხრიდან გადასახდელ ყოველთვიურ სააბონენტო მოსაკრებლებს, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში.

13. ცვლილება ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვში

გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულება	შენიშვნა	სავალო ფასიანი ქაღალდები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სულ
2022 წლის 1 იანვარის მდგომარეობით		(1,925)	(24,875)	(26,800)
გაუფასურების რეზერვის აღდგენა		253	3,035	3,288
გაუფასურების რეზერვის დარიცხვა		-	(1,258)	(1,258)
2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	7, 8	(1,672)	(23,098)	(24,770)
გაუფასურების რეზერვის აღდგენა		1,010	-	1,010
გაუფასურების რეზერვის დარიცხვა		-	(16,535)	(16,535)
2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით	7, 8	(662)	(39,633)	(40,295)

კომპანიის საკრედიტო რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია იხილეთ 16 შენიშვნაში.

14. წმინდა ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯი)

	შენიშვნა	2023	2022
<i>საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით:</i>			
- სავალო ფასიანი ქაღალდები - ამორტიზებული ღირებულებით	7	13,651	12,514
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	4,663	193
სულ საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით შეფასებულ აქტივებზე		18,314	12,707
- დარიცხული დივიდენდები წილობრივ ფასიან ქაღალდებზე, შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით	7	17,065	10,619
- საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი		(1,494)	(35,959)
სულ წმინდა ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯი)		33,885	(12,633)

15. პირობითი ვალდებულებები

(ა) საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს არანაირი დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

(ბ) სასამართლო დავები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის მიმდინარე დავა ეხება კომპანიის თანამშრომლის გათავისუფლების კანონიერებასა და მისთვის განაცდური ხელფასის კომპენსაციას, რომელზეც ხელმძღვანელობამ შექმნა 100%-ით ანარიცხი (შენიშვნა 11).

2019 წლის 12 სექტემბერს დაიწყო დავა, რომლის მიხედვითაც მოსარჩელები, სს საქართველოს საფონდო ბირჟა და სს გალტ ენდ ტაგარტი ითხოვენ 2012 წლის 3 აგვისტოს აქციონერთა კრების მიერ მიღებული წესდების ახალ რედაქციის ბათლიად ცნობას იმ ნაწილში, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევა/გადარჩევა საჭიროებს ხმათა 75%-ზე მეტს. 4 წელია, რაც საქმე იმყოფება მოსამზადებელ ეტაპზე და მთავარი სხდომა ჯერ არ ჩანიშნულა. კომპანიის თვალსაზრისით სარჩელის უსაფუძვლოა და ხანდაზმული.

2024 წლის 8 იანვარს დაიწყო დავა, რომლის მიხედვითაც მოსარჩელები, სს საქართველოს საფონდო ბირჟა და სს გალტ ენდ ტაგარტი, ითხოვენ 2023 წლის 30 ნოემბრის აქციონერთა კრების ოქმის ბათლიად ცნობას იმ ნაწილში, რომლითაც არ მოხდა სამეთვალყურეო საბჭოს გამოწვევა საბჭოდან. იმდენად რამდენადაც კომპანიის წესდების მიხედვით საბჭოს გამოწვევას ჭირდება 75% ზე მეტი ხმა, კომპანიის ხელმძღვანელობის მოლოდინია, რომ დავები დასრულდება კომპანიის სასარგებლოდ.

16. ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად კომპანია შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საბაზრო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი;
- საკრედიტო რისკი;

რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აკისრია სრული პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით.

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები, სავაჭრო მოთხოვნები და ვალდებულებები (გადასახდელები) და კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტას შორის. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ვალუტა, რომლებშიც ძირითადად დენომინირებულია და დაკმაყოფილებულია ეს ოპერაციები არის აშშ დოლარი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

	აშშ დოლარში დენომინირებული
31 დეკემბერი 2023	
სავაჭრო მოთხოვნები	27,163
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	26,073
სავალო ფასიანი ქაღალდები - ამორტიზებული ღირებულებით	165,877
სულ	219,113
	აშშ დოლარში დენომინირებული
31 დეკემბერი 2022	
სავაჭრო მოთხოვნები	18,761
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	67,709
სავალო ფასიანი ქაღალდები - ამორტიზებული ღირებულებით	165,533
სავაჭრო ვალდებულებები	(2,521)
სულ	249,481

საპროცენტო რისკი

კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დონეებში მომხდარი ცვლილებები, თუმცა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტები მხოლოდ ფიქსირებულ პროცენტთანაა, შესაბამისად საპროცენტო რისკი ამჟამად არ ახდენს გავლენას კომპანიაზე.

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. კომპანიის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდურობის რისკი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი, 2023	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავალო ფასიანი ქაღალდები - ამორტიზებული ღირებულებით	165,877	-	-	-	165,877
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	37,863	-	-	-	37,863
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	196,389	-	-	-	196,389
სულ ფინანსური აქტივები	400,129	-	-	-	400,129
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	548	-	-	-	548
სულ ფინანსური ვალდებულებები	548	-	-	-	548
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	399,581	-	-	-	399,581

31 დეკემბერი, 2022	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავალო ფასიანი ქაღალდები - ამორტიზებული ღირებულებით	2,383	163,150	-	-	165,533
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19,880	-	-	-	19,880
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	98,805	-	-	-	98,805
სულ ფინანსური აქტივები	121,068	163,150	-	-	284,218
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,722	-	-	-	1,722
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,722	-	-	-	1,722
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	119,346	163,150	-	-	282,496

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაჰენტი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ის ძირითადად წარმოიშობა კომპანიის მოთხოვნებიდან მომხმარებლების მიმართ, სხვა ინვესტიციებიდან ფასიან ქაღალდებში და ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტებიდან.

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს. საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკზე მაქსიმალური დამოკიდებულება იყო შემდეგი:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სხვა ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში	7	165,877	165,533
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	37,863	19,880
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9	196,389	98,805
სულ ფინანსური აქტივები		400,129	284,218

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის, საბანკო ნაშთების 100% შენახულია საქართველოს ყველაზე დიდ ბანკებში მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგით B, შეფასებული Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ. ყველა ნაშთი კლასიფიცირებულია 1-ელ დონეში. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. 31 დეკემბერი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ აღიარა საკრედიტო ზარალი 39,633 ლარისა და 23,098 ლარის ოდენობით, შესაბამისად.

სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ინდივიდუალურად ფასდება, ემიტენტის შიდა საკრედიტო რეიტინგის გათვალისწინებით, კონკრეტული ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის საფუძველზე. კომპანია ზარალის რეზერვს აფასებს 12-თვიანი საკრედიტო ზარალის ოდენობით ფასიანი ქაღალდების გაცემისას. ფასიანი ქაღალდი, რომლისთვისაც 12-თვიანი საკრედიტო ზარალია აღიარებული, ფინანსური ინსტრუმენტების 1-ელ სტადიად იწოდებიან. 1-ელ სტადიაზე მყოფ ფასიან ქაღალდებზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ისინი არ არიან გაუფასურებული.

იმის განსასაზღვრად, ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა თავდაპირველი აღიარების და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების შემდეგ, კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის ემიტენტის შიდა საკრედიტო რეიტინგს ითვალისწინებს. თუ შიდა რეიტინგი გაუარესდა, კომპანია აკვირდება მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ და გამოავლენს ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებს, რომლებიც მე-2 სტადიის ფინანსურ ინსტრუმენტებად მოიხსენიებიან და მათთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება მთელი სასიცოცხლო ვადისათვის.

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

თუ კომპანიას აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ემიტენტს მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები აქვს ან სავარაუდოა, რომ ემიტენტი გაკოტრდება ან იქნება სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაციის საგანი, შესაბამისი ინსტრუმენტი გაუფასურებულად ჩაითვლება და ის მე-3 სტადიის ფინანსურ ინსტრუმენტად იწოდება.

ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა არ მომხდარა თავდაპირველი აღიარებიდან სავალო ფასიან ქაღალდებში განხორციელებულ ინვესტიციებთან მიმართებაში და არ არის ვადაგადაცილებული 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის 662 ლარი და 1,672 ლარი, შესაბამისად.

17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირების ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (გ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (გ) ან (დ)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

	2023	2022
უმაღლესი ხელმძღვანელობის ხელფასი და სხვა განაცემი	21,600	21,672
ბანკში განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სს „საქართველოს ბანკში“ განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთი	2,995	54,304
სს „თიბისი ბანკში“ განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთი	67,064	40,677

18. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის მიახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის „გაშლილი ხელის“ პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. თუმცა, განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური განსჯის გამო, არ უნდა ჩაითვალოს, რომ სამართლიანი ღირებულება დაუყოვნებლივ არის რეალიზებადი აქტივების გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვისას. კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ანალიზი შემდეგია:

	დონე	2023 წლის 31 დეკემბერი	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები შეფასებული სამართლიანი ღირებულებით			
წილობრივი ფასიანი ქაღალდები *	3	54,085	54,085
ფინანსური აქტივები შეფასებული არა სამართლიანი ღირებულებით			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	196,389	196,389
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	37,863	37,863
სავალო ფასიანი ქაღალდები **	2	165,877	165,877
ფინანსური ვალდებულებები შეფასებული არა სამართლიანი ღირებულებით			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2	548	548
		2022 წლის 31 დეკემბერი	
	დონე	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები შეფასებული სამართლიანი ღირებულებით			
წილობრივი ფასიანი ქაღალდები *	3	54,085	54,085
ფინანსური აქტივები შეფასებული არა სამართლიანი ღირებულებით			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	98,805	98,805
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	19,880	19,880
სავალო ფასიანი ქაღალდები **	2	165,533	165,533
ფინანსური ვალდებულებები შეფასებული არა სამართლიანი ღირებულებით			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2	1,722	1,722

* ხელმძღვანელობამ დაასკვნა რომ, ვინაიდან, სს „საქწყალპროექტის“ აქციები არ არის კოტირებული ბაზარზე და ხელმძღვანელობა არ ფლობს საკმარის ინფორმაციას იმისთვის, რომ საიმედოდ დაადგინოს მათი აქციების რეალური ღირებულება, აღნიშნულ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება მიჩნეულია, როგორც რეალური ღირებულების რეპრეზენტატორი (შენიშვნა 5 ა).

** საანგარიშგებო პერიოდში არ ყოფილა არსებითი სხვაობა კუპონის განაკვეთსა და საბაზრო საპროცენტო განაკვეთს შორის (შენიშვნა 7).

19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ ყოფილა ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები, რომელიც საჭიროებს გამჟღავნებას ფინანსურ ანგარიშგებაში.